სსიპ-ი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (2015-01-08 - ბრძანება N01/01-01 და N02/01-01) N118/2015 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) N4

ქ. თბილისი

2015 წლის 20 თებერვალი

14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე პროფესორი მანანა გელაშვილი, კომისიის მდივანი ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბრეგაძე, კომისიის წევრები: პროფესორი თემურ კობახიძე, პროფესორი ირმა რატიანი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი, დოქტორი გაგა ლომიძე, მოწვეული პროფესორი ეთერ კირცხალია.

დღის წესრიგი: 1. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის შექმნა

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფ. მანანა გელაშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (2015-01-08 - ბრძანება N01/01-01 და N02/01-01) მიმდინარეობის შესახებ. გამოცხადებული იყო სამი ვაკანტური საშტატო ერთეული:

დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა - ასოცირებული პროფ. - 1 საშტატო ერთეული

თარგმანმცოდნეობის კათედრა - ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

მანანა გელაშვილმა აღნიშნა, რომ „სსიპ-ი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება 118/2014) გათვალისწინებით საკონკურსო კომისიამ შეაჯამა მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ კონკურსის პირველი ეტაპი **სამივე აპლიკანტმა გაიარა წარმატებით**:

1. საკონკურსო კომისიას საკონკურსო დოკუმენტაცია გადმოეცა საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ დალუქულ მდგომარეობაში (რაც დასტურდება საკონკურსო კომისიის მდივნის ხელმოწერით საკონკურსო მასალების მიღების დოკუმენტზე);
2. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა საკონკურსო კომისიის სხდომაზე (ოქმი N1);
3. კომისიის პირველ სხდომაზე შემოწმდა აპლიკანტთა საკონკურსო ანკეტების ინფორმაციის სისწორე, სადაც დარღვევა არ გამოვლინდა;
4. სამივე აპლიკანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე, შედგა გასაუბრების გრაფიკი და განისაზღვრა გასაუბრების დრო და ადგილი (2015 წლის 20 თებერვალი, 12:00, თსუ პირველი კორპუსი, ოთახი N216 - იხ. ოქმი N1), რაც გამოქვეყნებული იყო თსუ ვებგვერდზე.

დაადგინეს: კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდა სრულყოფილად.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. მანანა გელაშვილის ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსანტების შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება ჩატარდა დათქმულ დროს საკონკურსო წესების დაცვით. კონკურსის მეორე ეტაპი დასრულდა წარმატებით, კერძოდ, კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები: დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, უცხოური და ადგილობრივი აკადემიური სისტემის ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში.

დაადგინეს: კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდა საკონკურსო წესების სრული დაცვით (ოქმი N2).

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის შემდეგ ფარული კენჭისყრის ჩატარების თაობაზე. შეიქმნა ხმის დამთვლელი კომისია, რომელშიც შედიოდნენ: პროფ. მანანა გელაშვილი, ასოც. პროფ. კონსტანტინე ბრეგაძე და დოქტორი ეთერ კირცხალია.

ჩატარდა ფარული კენჭის ყრა, რომლის შედეგადაც:

დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის:

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა - ასოცირებული პროფ. - 1 საშტატო ერთეულზე - დოქტორ დავით მაზიაშვილის არჩევას ხმა მისცა - 7 წევრმა, უარყოფითი - 0

თარგმანმცოდნეობის კათედრა - ასისტენტ პროფესორი 1 საშტატო ერთეულზე ლელა ებრალიძის არჩევას ხმა მისცა - 7 წევრმა, უარყოფითი - 0

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ასისტენტ პროფესორი 1 საშტატო ერთეულზე ანა ლეთოდიანის არჩევას ხმა მისცა 7 წევრმა, უარყოფითი - 0.

(იხ. ოქმი 3)

დაადგინეს: „სსიპ-ი ივანე ჯავახიშვილის სახელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად სცნო

დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის:

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა - ასოცირებული პროფ. - 1 საშტატო ერთეულზე - დოქტორი დავით მაზიაშვილი

თარგმანმცოდნეობის კათედრა - ასისტენტ პროფესორი 1 საშტატო ერთეულზე დოქტორი ლელა ებრალიძე

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ასისტენტ პროფესორი 1 საშტატო ერთეულზე დოქტორი ანა ლეთოდიანი

კომისიის თავმჯდომარე პროფ. მანანა გელაშვილი

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. კონსტანტინე ბრეგაძე